პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 71 (18613) შაბათი, 26 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე მოისმინა ინფორმაცია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა თათბირის შესახებ, რომელიც გაიმართა მოსკოვში 1983 წლის 14-15 მარტს და მოიწონა ამ თათბირის შედეგები.

სხდომაზე განიხილეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში დასახულია ბევრი ღონისძიება პარტიის სოციალური პოლიტიკის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის სრულყოფისა და კულტურის ამაღლების დარგში სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. გათვალისწინებულია ისეთ სახეობათა მომსახურების გაფართოება, როგორიც არის რადიოსატელევიზიო აპარატურის, საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების შეკეთება, ბინების რემონტი, თეთრეულის რეცხვა და ქიმწმენდა, ხანგრძლივი ხმარების საგნების გაქირავება. დადგენილია საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის მანქანების, ხელსაწყოებისა და მექანიზაციის საშუალებათა სერიული წარმოების, ამ საწარმოთა სიმძლავრეების უფრო ეფექტიანი გამოყენების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების დავალებანი. გაფართოდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებისა და მიმღები პუნქტების ქსელი სოფლად, ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე და საერთო საცხოვრებლებში. გაუმჯობესდება მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის კადრების მომზადება, უფრო აქტიურად ჩააბამენ ამ საწარმოების მუშაობაში დიასახლისებს, პენსიონერებს, აგრეთვე სტუდენტებს არასრული სამუშაო დღით.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა მოსახლეობის მომსახურების ყველა უბნის სრულყოფისათვის, საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ზ. ნ. ნურიევის, მინისტრების ვ. კ. მესიაცის, ვ. ნ. პოლიაკოვის, ვ. ს. ფიოდოროვის, პ. ვ. ფინოგენოვის, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების ლ. ი. ხიტრუნისა და ტ. ზ. ხურამშინის ინფორმაციები კ-700 ტიპის ენერგოგაჯერებული ტრაქტორების მინდვრის სამუშაოებისათვის მომზადების შესახებ. სამინისტროებისა და კომიტეტების ხელმძღვანელების წინაშე დასახულია ამოცანა — უახლოეს დროში დამთავრდეს ამ ტრაქტორების რემონტი და არსებითად გაუმჯობესდეს სათადარიგო ნაწილებითა და საწვავ-საპოხი მასალებით მათი მომარაგება.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი საგაზაფხულო თესვისათვის ენერგოგაჯერებული ტრაქტორების მომზადებისადმი, აამაღლონ კადრების პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლოატაციის და რემონტის ხარისხისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მომზადებული წინადადებანი მარცვლეულის წარმოების გაზრდისათვის ალტაის მხარეში სარწყავი სისტემების მშენებლობის დაჩქარების შესახებ. ამ მიზნით დასახულია განხორციელდეს მიწების მელიორაციისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების დიდი მოცულობის სამუშაოები, დადგენილია საწარმოო ბაზისა და საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დავალებანი, დაგეგმილია შეიქმნას მხარეში უხვმოსავლიანი საკვები კულტურების გარანტირებული წარმოების ზონები.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოინონა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. თ. უსტინოვის სამუშაო ვიზიტის შედეგები.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სოციალიზმის ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასთან და სახელმწიფოს მშვიდობიანსმოყვარული საგარეოპოლიტიკური კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხი.

ი. ვ. ანდროპოვი შეხვდა დ. ორტეგას

25 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი შეხვდა ნიკარაგუის ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრს, ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს კოორდინატორს დ. ორტეგას, რომელიც მანაგუაში გზად მიმავალი მოსკოვში იმყოფება მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დელის VII კონფერენციაში მონაწილეობის შემდეგ.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ნიკარაგუის ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა.

ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დიდი სიმპათიით ეკიდება მეგობარი ნიკარაგუელი ხალხის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების უზრუნველყოფა, და ამაში მას პოლიტიკურ მხარდაჭერასა და მატერიალურ ხელშეწყობას უწევს. დ. ორტეგამ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ წყდება ნიკარაგუაში სახალხო-სამეურნეო და სოციალური ამოცანები, და დიდი მადლობა გადაიხადა ქმედითი სოლიდარობისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი იჩენს.

დ. ორტეგამ თქვა, თუ როგორ მიმდინარეობდა მიუმხრობელი ქვეყნების დელის კონფერენცია და რა ძირითადი შედეგები მოჰყვა მას. საუბრის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ამ შედეგებს და ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში მიუმხრობლობის მოძრაობას, მის პრინციპულ პოზიციებს ომისა და მშვიდობის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, განიარაღებისათვის, ყველა ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისათვის, ხალხთა დამოუკიდებელი განვითარების უფლების უზრუნველყოფისათვის ბრძოლის ძირეულ საკითხებში.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი ვითარების საკითხებს, უწინარეს ყოვლისა, იმ საშიში პოლიტიკის თვალსაზრისით, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებს, რათა ყოველნაირად შეუშალოს ხელი ამ რაიონის ხალხებს თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედი. ამასთან დაკავშირებით დ. ორტეგამ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მოქმედებენ ნიკარაგუის შეიარაღებული ძალები, მთელი ნიკარაგუელი ხალხი, რათა საკადრისი პასუხი გასცენ ამ ქვეყანაში კონტრრევოლუციონერ ინტერვენტთა ამასწინანდელ შეჭრას, რომლებსაც აშკარად უჭერს მხარს საერთაშორისო იმპერიალიზმი. მან თქვა, რომ ნიკარაგუის რევოლუციურ მთავრობას საჭირო შესაძლებლობანი აქვს სამშობლოს დაცვისა და ინტერვენტთა განადგურებისათვის.

დ. ორტეგამ აგრეთვე თქვა, რომ ნიკარაგუის მთავრობა თანამიმდევრულად იღებს სალვადორის ვითარების სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, აგრეთვე დიალოგისათვის ამ რაიონის სხვა პრობლემების გადასაწყვეტად.

ი. ვ. ანდროპოვმა გამოთქვა რწმენა, რომ ნიკარაგუა დაიცავს თავის უფლებასა და დამოუკიდებლობას, და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი, ყველა საბჭოთა ადამიანი გულწრფელი სოლიდარობით ეკიდებიან ნიკარაგუელ ხალხს მის სამართლიან საქმეში.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ა. ალექსანდროვი (საკდესი).

მეკარტოფილეთა რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მეკარტოფილეთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, მეცნიერები, სპეციალისტები.

მოხსენება კარტოფილის წარმოების მდგომარეობისა და მისი ზრდის პერსპექტივების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრი თ. კ. ჯაბადარი, სამეცნიეროსაწარმოო გაერთიანება „თავთავის" გენერალური დირექტორი მ. ბ. ღვინჯილია, პარტიის რაიკომების პირველი მდივნები: წალკისა—ო. ა. ხრისტიანოვი, ახალქალაქისა—გ. ს. შუღაროვი, ახალციხისა — მ. მ. ქაჯაია, ბოგდანოვკისა — ვ. ა. ქოჩოიანი, პარტიის დმანისის რაიკომის მეორე მდივანი ე. ა. ხრისტოსენკო, აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეები: ბოლნისის რაიონისა — ბ. ა. გელერი, მარნეულისა — ზ. ი. გოგოლაძე, თეთრი წყაროსი — ა. ნ. მესხიშვილი, ადიგენისა — ა. კ. ინასარიძე, საქსოფლქიმიის გაერთიანების თავმჯდომარე დ. მ. კოლელაშვილი, საქმთავარწყალმშენის უფროსი ა. გ. მუსერიძე, ბოლნისის რაიონის ფაბრალოსა და არუხლოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორები უ. გ. ბუსეინოვი და მ. ი. ვადაჭკორია.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ კარტოფილის წარმოებისა და დამზადების ზრდას მომდინარე და მომდევნო წლებში, სასურსათო პროგრამის რეალიზაციას.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. ლ. ზაქაიძე და გ. ს. მამაცაშვილი. (საქინფორმი).

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში გრძელდება მომავალი დღესასწაულისადმი — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი აქტივის კრებები. ამ თარიღის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ დადგენილებისა და საქვეუწყებო საწარმოთა და დაწესებულებათა წინაშე დასახული სახალხო-სამეურნეო გეგმების უზრუნველყოფაში მათთვის დამმარების გაწევის შესახებ საკავშირო სამინისტროების გადაწყვეტილების პასუხად შრომითი კოლექტივები კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, პირობას დებენ, რომ დამკვრელური შრომით შეხვდებიან იუბილეს.

იუბილეს ახალშენებლობებით ეგებებიან

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულს — საწარმოო მიღწევები! — ასე გადაწყვეტეს „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" „მრეწველფილიალის" სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მშრომელებმა.

მომავალი დღესასწაულის შეხვედრისადმი მიძღვნილ აქტივის კრებაზე სამმართველოს კოლექტივმა პირობა დადო, ჯერ კიდევ აპრილში ჩააბაროს რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი ახალმშენებლობანი, რომელთა აგებაში იგი მონაწილეობს, როგორც ქვემოჯარე. ეს არის რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის კორპუსი, სამედიცინო ინსტიტუტის ახალი სასწავლო კომპლექსი და სხვა.

ორატორებმა — სამმართველოს უფროსის მოადგილემ ლ. იოსელიანმა, ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირმა რ. შენგელიამ, სხვებმა კოლექტივის სახელით პირობა დადეს, რომ ყველა ამ ობიექტს „ფრიადი" შეფასებით ჩააბარებენ, ცხრა პროცენტით გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე.

თანამეგობრობა ხელს უწყობს საქმეს

ახალი შრომითი წარმატებებით ეგებება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი. რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული სპეციალისტების დახმარებით აქ აითვისეს ხუთძაფიანი მანქანები, რომელთა გამოყენების შედეგად ორჯერ გადიდდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი.

— ეს სიახლე, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის შრომელთა დახმარებით საწარმოში დანერგილი მთელი რიგი სხვა სიახლენი, გვეხმარება დავაჩქაროთ წარმოების განვითარება, — აღნიშნა საწარმოს აქტივის კრებაზე ფაბრიკის დირექტორმა მ. ჩხეიძემ.

კრების მონაწილეებმა, რომლებიც აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ, გადაწყვეტეს საიუბილეო თარიღისათვის გეგმის გადაჭარბებით დაამზადონ ორმოცდაათი ათასი მანეთის პროდუქცია.

ვახტანგზე მევენახეები დგანან

ზრომითს ვახტანგ გეორგიევსკის ტრაქტატის მოახლოებული 200 წლისთავის აღსანიშნავად დადგა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ქ. ბურდიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ პირობა დადო, ზვრების თითოეულ ჰექტარზე მიიღოს სულ ცოტა 100-120 ცენტნერი ყურძენი.

საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პარტიის რაიკომის მდივანმა გ. ჭუნიაშვილმა თქვა:

— შეჯიბრებას ახალი იმპულსი მიანიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ყველგან კისრულობენ ვალდებულებებს, რომ გაადიდებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, გაზრდიან მეცხოველეობის პროდუქტიულობას. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აპირებენ საუკეთესო აგროვადებში და მაღალ დონეზე შეასრულონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს აწარმოონ 138 ათასი ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 137 ათასი ტონის ნაცვლად.

ორიენტირია ასორტიმენტი და ხარისხი

გვესაუბრება მინისტრი

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში გაზრდილი ვალდებულებანი იკისრეს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემის მშრომელებმა. ისინი ითვალისწინებენ საგეგმო დავალებათა შესრულების დაჩქარებას სამუშაოთა მაღალი ხარისხის პირობებში.

შეეხო რა ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებას, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ჯ. კუბლაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლის იუბილეს დღესასწაულისათვის მზადებამ შრომით კოლექტივებში ენთუზიაზმის მოზღვავება გამოიწვია. ჩვენი საწარმოები ყველგან შემადგენლობით მრავალეროვანია. ამიტომაც მშრომელებმა იციან საბჭოთა ადამიანების ძმური მეგობრობის ყადრი. ჩვენს ქვეყანას სწორედ ეს აძლევს შესაძლებლობას მტკიცედ იაროს პროგრესის გზით, ფაშიზმის წინააღმდეგ ომის წლებში კი ეს იყო ვერაგ მტერზე გამარჯვების ერთერთი წყარო. დღესასწაულის წინ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეკომენდაციათა შესაბამისად, მათ გადასინჯეს ძველი და იკისრეს ახალი, გადიდებული ვალდებულებანი, რამაც სამინისტროს ხელმძღვანელობას შესაძლებლობა მისცა გადაესინჯა დარგის განვითარების საერთო მიჯნები. ჩვენს გეგმებში ამიერიდან ძირითად ყურადღებას მივაპყრობთ არა მარტო და არა იმდენად წარმოებათა გაფართოებას, რამდენადაც არსებულთა ინტენსიურობის ზრდას, ნაწარმის ასორტიმენტის გამრავლებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

სულ ცოტა ხნის წინათ, როცა ვაგვარებდით, მაგალითად, სამკერვალო წარმოებას პერიფერიაში, ეს ჩვენც გვაძლევდა ხელს — საჭირო იყო მცირე კაპიტალური დაბანდებანი (საამქროები იქმნებოდა ცარიელ შენობებსა და იჯარით აღებულ შენობებში), საზოგადოებრივ წარმოებაში ვაბამდით დაუსაქმებელ მრომისუნარიან სოფლის მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალებს.

მაგრამ უფრო წინ უნდა ვიაროთ, უკეთ უნდა ვიანგარიშოთ. მაგალითად, სამკერვალო პროდუქციის დიდი მოცულობის გამო იზრდებოდა მთლიანი სამრეწველო პროდუქცია, რომელიც მრავალი წლის მანძილზე დარგის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი და კრიტერიუმი იყო.

მაგრამ მთლიანი პროდუქციის გამოდევნებას მოჰყვა დისპროპორცია დარგის განვითარებაში. ამ მიზეზით გაუმართლებლად გაიზარდა პროდუქციის მასალატევადობა. მაგრამ ყველაზე შემაფოთებელი ის არის, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა და სახალხო მეურნეობა წარმოების მოცულობათა მთლიანი ზრდის პირობებში ვერ იღებდა ბევრ მეტად საჭირო პროდუქციას. სწორედ რაოდენობის, მთლიანი პროდუქციის გამოდევნებას მოჰყვა ის, რომ ჩვენი ნაწარმის ასორტიმენტი და სამომხმარებლო თვისებები უკვე ხშირად აღარ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნას, ასეთია, მაგალითად, დანა-ჩანგალი, ბაღ-ბოსტნის ინსტრუმენტი და კლიტეები, რკინა-კავეული, ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომლებიც ხშირად ჩაწოლილია ბაზებში.

დარგის საქმიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების დაბალი ტექნიკური დონე, ხარვეზები საფინანსო-ეკონომიკური სფეროში, რაც იმას იწვევს, რომ პროდუქციის თვითღირებულება მატულობს, მთელი რიგი საწარმოების გადახდისუნარიანობა კლებულობს, იქმნება სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ზედმეტი ნაშთები, იზდიან ჯარიმებს, საურავსა და საუბიროს.

სწორედ ამიტომაც ახლა, როცა პერსპექტივისათვის ღონისძიებებს ვამუშავებთ, მთავარ ყურადღებას მივაპყრობთ ამოცანას: საწარმოთა ტექნიკური განახლების საფუძველზე მკვეთრად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი.

მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა შეიცავს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ქვეპროგრამას. პირველი მათგანია ასორტიმენტის გაფართოება და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება.

კიდევ უფრო განვითარდება საშენ მასალათა მრეწველობის დარგი, რომელიც, როგორც ცნობილია, ეყრდნობა ადგილობრივი ნედლეულის რესურსებს. აქ დასახულია წარმოების მოცულობა გაიზარდოს 10-ჯერ და მეტად.

ლითონდამუშავებაში დაგეგმილი გვაქვს ავითვისოთ ახალი ნაწარმის — საბავშვო ველოსიპედების, ავტომობილის კონდიციონერების, მექანიკური სათამაშოების, სპორტული ტრენაჟერების, სქელფსკერიანი სამზარეულო ჭურჭლის, სანტექნიკის, ღვინის დასადუღებელი და შესანახი მომთნანქრებული ფოლადის რეზერვუარების გამოშვება.

მნიშვნელოვნად გაიზრდება ლაქ-საღებავების გამოშვება, გაფართოვდება საწმენდი და მათეთრებელი საშუალებების ასორტიმენტი, ავითვისებთ თეთრეულის ლილის, ფერადი რეზინის ფეხსაცმლის, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად ახალი ქიმიური პრეპარატების გამოშვებას.

დარგის საწარმოებში დაგეგმილია მეორეული პოლიმერების, ნავთობქიმიის თანამდევი მასალებისა და სხვა მეორეული რესურსების გამოყენება.

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოშვება გაცილებით უფრო ნაკლები ტემპით გაიზრდება. ძირითად ყურადღებას ვუთმობთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმის საბავშვო ასორტიმენტის გაფართოებას, ცალობით საფეიქრო გალანტერიის, თეთრეულის გამოშვებას.

დარგის ორ საწარმოში უკვე შეუდგნენ შუქსტაბილიზებული ბოჭკოსაგან სეტყვადამცავი ბადეების ქსოვას.

ყველა დასახული სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის განვამტკიცებთ საუწყებო სამრეწველო-სამშენებლო სამმართველო, გარდავქმნენით იგი სამშენებლო ტრესტად და შევქმენით სამმართველოები რეგიონებში.

ჩვენი გეგმების რეალობის საწინდარს წარმოადგენენ ადამიანები, მათი ენთუზიაზმი, მათი შეგნებული დისციპლინა, მისწრაფება, რომ იყვნენ იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებიც წაყენებული აქვთ.

ბულგარეთის ტელევიზიის ინტერვიუ

ბულგარეთის ტელევიზიის ინტერვიუ ალ. ბ. ბეგოვიჩ-ალიბეგოვ, ბ. ბ. ბეგოვ, ბ. ბ. ბეგოვ, ბ. ბ.

პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ. გულუას და ესაუბრა პარტიის ძირეული რგოლის მებრძოლურობის გაძლიერების საკითხებზე.

— ბუნებრივია, ეს პრობლემები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ პირველადი პარტორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური განმტკიცების თაობაზე საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის წინ, როცა ჯამდება ამ მხრივ გაწეული მუშაობა და ისახება ახალი ამოცანები. სახელდობრ, რა დამახასიათებელ მოვლენებს გამოყოფდით ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით?

— პარტიის საქალაქო კომიტეტი სისტემატურად სრულყოფს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს. ამ მხრივ ნამდვილი შემობრუნების დასაწყისი გახდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პირველი რესპუბლიკური კრება, რომელმაც ღრმად გააანალიზა არსებული ვითარება და შეიმუშავა ვრცელი სამოქმედო პროგრამა. ახლა ჩვენი ყოველდღიური მეცადინეობა გამსჭვალულია იმის ღრმა შეგნებით, რომ სწორედ პირველადი პარტიული ორგანიზაციაა ის რგოლი, რომელიც განამტკიცებს პარტიისა და ხალხის ერთიანობას, უზრუნველყოფს საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას.

საქალაქო კომიტეტმა 1982 წლის 25 იანვარს რესპუბლიკური კრების მოთხოვნათა შესაბამისად დაამტკიცა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისმებისადმი პარტიული კონტროლის კომისია. პარტიული ზეგავლენის გაძლიერებას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს მდივნების ავტორიტეტის ამაღლება. ამგვარად პირველადი პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნების 86 პროცენტს აქვს წარმოებაში მუშაობის გამოცდილება, ახლადარჩეული მდივნების 83 პროცენტი სარეზერვო კადიდატურებიდანაა. კადრების საქმიანი და პოლიტიკური თვისებების გაუმჯობესებისათვის მუშაობა მომავალში უფრო თანამიმდევრულ ხასიათს მიიღებს.

— ხახალხო მეურნეობის მართვაში ადგილობრივი და დარგობრივი ინტერესების შეხამება და ამ მიზნით ქალაქში მიმდინარე ექსპერიმენტი მოითხოვს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწას...

—დიახ. ქალაქში ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შექმნამ პარტიის საქალაქო კომიტეტი გამოათავისუფლა ბევრი ფუნქციისაგან, შესაძლებლობა მისცა მეტი კონტროლი დაუწესოს ეკონომიკის მართვას, განახორციელოს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების საქმიანობის კონცენტრირება შრომის მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად. ამ საკითხებისადმი კომპლექსური მიდგომის შედეგად პარტიის საქალაქო კომიტეტი კონტროლს უწევს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასზე მეტ მაჩვენებელს.

ამიტომაც სამეურნეო ექსპერიმენტებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლის ამაღლება პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების განვითარებაში, თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერება.

ამავე მიზნით სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს საზოგადოებრივი საწყისება პარტიულ მუშაობაში. პარტიის საქალაქო კომიტეტში შექმნილია და ნაყოფიერად მოქმედებენ შტაბგარეშე კომისიები, სამუშაო ჯგუფები და საკოორდინაციო საბჭოები.

დაიხვეწა პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმებისა და პარტაქტივის კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა. მაგალითად, ყურადღებას იმსახურებს პარტიის საქალაქო კომიტეტის X და XI პლენუმები, რომელთაც წინ უძღოდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. პლენუმების მოხსენებები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცდილებისამებრ წინასწარ გაეცნო პარტიულ აქტივს. ამან საშუალება მოგვცა პლენარულ სხდომებზე უფრო ღრმად განგვეხილა საჭირბოროტო საკითხები, დაგვესახა ქმედითი ღონისძიებები.

უკვე დავიწყეთ მზადება მომავალი საანგარიშო-საარჩევნო კრებისა და საქალაქო კონფერენციისთვის. მთავარი ამოცანა ის ჯრის, რომ კომუნისტებს, მშრომელებს მოვახსენოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ, რეალურად დავადასტუროთ სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

ასევე ითქმის იდეურ-აღმზრდელობითი, იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზეც. სამეურნეო მართვის მექანიზმის შეცვლამ მოითხოვა ადამიანებთან ახლებური დამოკიდებულება. ობიექტურად რომ ვთქვათ, ახლა იმის მეტი შესაძლებლობა გვაქვს უფრო დაუახლოვდეთ მათ, უფრო დამაჯერებელი პასუხი გავცეთ მრავალფეროვან შეკითხვებზე, არა მარტო მოვუწოდოთ ადამიანებს, არამედ დავარწმუნოთ ისინი ახლებური მუშაობის უპირატესობაში, ჩატარებული აქციების პრაქტიკულ სარგებლიანობაში.

უფრო შინაარსიანი და საინტერესო გახდა ერთიანი პოლიტდღეები, რომლის დროსაც ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები უშუალოდ ფაბრიკებსა და ქარხნებში, სამუშაო ადგილებზე ატარებენ საუბრებს, წყვეტენ მომწიფებულ საკითხებს.

ანდა ავიღოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სადისკუსიო კლუბი, რომელიც მუშაობს დევიზით: „როგორი მინდა ვიხილო ჩემი ქალაქი“. კლუბის წევრები ატარებენ სოციოლოგიურ გამოკვლევებს სამეურნეო ექსპერიმენტის ცალკეულ საკითხებზე, იმუშავებენ რეკომენდაციებს ექსპერიმენტის შედეგად ქალაქის ბიუჯეტში დამატებით ჩარიცხული სახსრების რაციონალური გამოყენებისათვის.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ყველა უბანზე შეუძლიათ შეიტანონ და კიდევაც უნდა შეიტანონ გაცილებით მეტი წვლილი ყველა მაჩვენებლის მიხედვით ზრდითი კოლექტივების საქმიანობის უმაღლესი შედეგების უზრუნველყოფაში.

რევაზ ბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციებს ბიგანიდან, ყველა კომუნისტისადმი, ყველა კომუნისტისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

ზემოქმედების წახნაგები

ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციაში 120-ზე მეტი სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია, ეს საკმაოდ დიდი ძალაა. ძალას, მოგეხსენებათ, გამოყენება უნდა, ამისათვის ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონონ, თითოეულის შესაძლებლობაში გაერკვე, ყველას თავისი საქმე მიუჩინონ, მხარში ამოუდგე, დაეხმარო კიდეც და თუ საჭირო შეიქმნა, პასუხიც მოსთხოვო, მკაცრად მოჰკითხო. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა თითოეულის აქტიურობა, გაიზრდება პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა.

პარტიული მომთხოვნელობა ჩვენს მუშაობაში ერთ-ერთ უპირველეს პირობად მიგვიჩნია. მკაცრი კონტროლი იმის შესრულებისადმი, რაც ერთხელ დადგინდა, საქმისთვის ბოლომდე მიყოლა წარმატების საწინდარია.

მას შემდეგ, რაც სასურსათო პროგრამა შეივიმუშავეთ, მისი მიმდინარეობისადმი კონტროლი არ შეგვისუსტებია. შარშან ნოემბრის პლენუმის შემდეგ შევიკრიბეთ კრებაზე, გადავხედეთ მიღწეულს და მისაღწევს. ვალდებულებებში გარკვეული კორექტივებიც შევიტანეთ, კერძოდ, უფრო მეტი დავისახეთ მიზნად, ჩვენი ამოცანები რეალური, საფუძვლიანი გახდა.

სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, — აღნიშნეს მაშინ კომუნისტებმა, — საზოგადოებრივთან ერთად საკარმიდამო სექტორმა უნდა თქვას თავისი სიტყვა. უამისოდ ჩვენი გადაწყვეტილებები მხოლოდ სურვილად დარჩება. მაგრამ თქმა ერთია, ხოლო შესრულება მეორე. სიტყვა რომ საქმედ გვექცია, უფრო ფართოდ გავშალეთ სოციალისტური შეჯიბრება, წარმოების გადამწყვეტ უბნებს კომუნისტები მივამაგრეთ და, რაც მთავარია, შესრულების კონტროლი გავაუმჯობესეთ. კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით პარტიული კომიტეტის სხდომაზე, ვისმენდით ინფორმაციებს საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელებისა და საუბნო პარტიული ორგანიზაციების მდივნების მიერ გაწეულ მუშაობაზე. ყოველივე ამან საუკეთესო კვალი დაჩნია ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

კერძო სექტორმა მართლაც გამოიჩინა თავი. აღრე ჩვენ სოფელში მხოლოდ 1800 სული პირუტყვი აღირიცხებოდა, ახლა კი 2450 სულია. კოლმეურნეები კარგად უვლიან ბოსტანს. თუ წინათ ჩვენ სოფლელებს ქალაქის ბაზრიდან მოჰქონდათ სხვადასხვა ბოსტნეული, ახლა პირიქით, ნამეტი პროდუქტი მათ ბათუმის საკოლმეურნეო ბაზარში მიაქვთ.

რა მოგვცა შესრულების კონტროლის სისტემამ? როგორ ხორციელდება სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული დავალებები? რა შედეგებით დავამთავრეთ 1982 სამეურნეო წელი?

კოლმეურნეობაში 1982 სამეურნეო წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 1.561 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 1456 ტონისა. მოკრეფილი ჩაის 73 პროცენტი პირველი ხარისხისაა. საშუალოდ ერთ ჰექტარზე 14,3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლია მოკრეფილი. კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა. კოლმეურნეობის №7 ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი გ. მიქელაძე ხელმძღვანელობს, გეგმა-ვალდებულება 114,3 პროცენტით შეასრულა, ხოლო ამავე ბრიგადის №5 რგოლმა, რომელსაც სკკპ წევრობის კანდიდატი ლ. კიკნაძე ხელმძღვანელობს — 127.7 პროცენტით.

ჩვენი კოლმეურნეობა გამარჯვებული გამოვიდა რაიონის კოლმეურნეობებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში როგორც გეგმა-ვალდებულებების შესრულების, ასევე ჰექტარობრივი მოსავლიანობის მაჩვენებლებით, და საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა გადმოგვეცა.

მეორე დიდი დარგი, რომელიც 2450 სულია. კოლმეურნეები კარგად უვლიან ბოსტანს. თუ წინათ ჩვენ სოფლელებს ქალაქის ბაზრიდან მოჰქონდათ სხვადასხვა ბოსტნეული, ახლა პირიქით, ნამეტი პროდუქტი მათ ბათუმის საკოლმეურნეო ბაზარში მიაქვთ.

ერთგულება ჩვენივე სიტყვისა

ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკას განსაზღვრავს, მეცხოველეობაა. მარშან ყოველ ჰექტარზე 18,6 ტონა ციტრუსი მოვიწიეთ. მაგრამ კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის გამგეობას, მეციტრუსეთა ბრიგადირებს, კომუნისტებს, რომლებიც განსაკუთრებული მუყაითობით დაპასუხისმგებლობით გამოირჩევიან, მიაჩნიათ, რომ შესაძლებლობანი გაცილებით მეტი გვაქვს. ჩვენი მიზანია საბოლოოდ აღმოვფხვრათ სიმეჩხრე. არც ერთ ბაღში არ გვქონდეს მოგლეჯილი ადგილი.

თუ წინათ წამყვან დარგებში კარგი შედეგები გვქონდა, დამხმარე დარგებში რიგზე ვერ იყო საქმე. მაგალითად, კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა წლების მანძილზე ჩამორჩენილი იყო. პარტიულმა კომიტეტმა იმსჯელა შექმნილ მდგომარეობაზე. ჩვენს გადაწყვეტილებას კონკრეტული ღონისძიებები მოჰყვა. ფერმის გამგედ პარტიულმა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა სპეციალისტს, კომუნისტ ტ. შარაშიძეს. ამასთან დროდადრო ჩვენი დადგენილების შესრულებას მიმდინარეობას ვისმენდით. მეცხოველეობის ფერმაში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ახლა ნაკისრი ვალდებულებები დიდი გადაჭარბებით სრულდება. შარშან გეგმით გათვალისწინებული 289 ტონა რძის ნაცვლად 315,2 ტონა მივიღეთ. საშუალოდ აქ ერთ ფურზე 2.672 კილოგრამი რძე მოვწველეთ. ასევე წარმატებით შესრულდა ხორცის დამზადების გეგმები. კარგად მუშაობს მეცხოველეობის ფერმის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ხშირად ისმენს ფერმის სპეციალისტების ანგარიშებს.

პარტიულ კრებაზე, რომელზეც სასურსათო პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული ჩვენი ერთ-ერთი დადგენილების შესრულების მიმდინარეობას ვიხილავდით, აღშარნდა, რომ კოლმეურნეობის მებოსტნეობის №10 და №11 ბრიგადების ხელმძღვანელები კომუნისტები ზ. მალაყმაძე და მ. ჭანიაე მთელი მონდომებით არ მუშაობდნენ. ამის თქმა საფუძველს ბრიგადების უფერული მაჩვენებლები იძლეოდა. ჩვენი კრიტიკული შეფასების შემდეგ ამ ბრიგადებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა.

მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებისათვის პარტიულ კომიტეტში შევკმენით დაგენილებათა ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი შესრულების შემოწმების კონტროლის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც პარტიულ კრებაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები კონტროლზე აყავს. მორიგ პარტიულ კრებას მოხსენდება ხოლმე ინფორმაცია გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაწეულ მუშაობაზე, და თუ შესრულება ფერხდება, პარტიული კომიტეტი სწავლობს მიზეზებს, მიმართავს დამატებით ღონისძიებებს, რომ დასახული აუცილებლად პრაქტიკულ საქმედ იქცეს.

ამგვარი მუშაობის შედეგია ციფრები და ფაქტები: კოლმეურნეობის საერთო შემოსავალმა 2 მილიონ 255 ათას მანეთს მიაღწია, შრომის ნაყოფიერება 9 პროცენტით გაიზარდა, რენტაბელობა კი 34,2 პროცენტით. ერთ კაცდღეზე საშუალოდ 8,83 მანეთი გაიცა. ეს ნიშნავს, რომ თვეში კოლმეურნის საშუალო გამომუშავება 135 მანეთია.

ჩვენი ეს მუშაობა, რა თქმა უნდა, კაპასნიური ხასიათისა არ არის. სასურსათო პროგრამის სრული რეალიზაცია ჯერ არცთუ ისე სწრაფად მოხდება. ამიტომ მთელი ჩვენი ძალების მაქსიმალური დაძაბვა გვჭირდება, რომ პირნათლად შევასრულოთ ყველაფერი, რაც ჩვენვე დავისახეთ.

რ. ფულუკიძე,

ხელვაჩაურის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ერთიანული ფინანსიერეა

განსჯა, გამოცდილება, პრობლემები

ერთგულად ჩვენივე სიტყვისა

სკკპ XXVI ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას და ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც დადგენილების ქმედითობა სწორედ მის დროულ და სრულყოფილ განხორციელებაზეა დამოკიდებული.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს აინტერესებთ აუცილებელია თუ არა სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც საკუთარი და ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებას შეამოწმებს. აგრეთვე საჭიროა თუ არა ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კომიტეტის, ბიუროს, კრების ყველა დადგენილებაზე ივსებოდეს საალრიცხო ბარათები, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული შემსრულებელი და შესრულების ვადები. ვუპასუხებთ ამ შეკითხვებს.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

ხშირად პირველადი პარტორგანიზაცია დადგენილებას იღებს ისეთ საკითხზე, რომლის შესრულება შედარებით დიდ დროს მოითხოვს. ამ შემთხვევაში პარტიულმა კომიტეტმა ან ბიურომ მოსალოდნელი სამუშაოს მოცულობის და ხასიათის გათვალისწინებით დადგენილების შესრულების კონტროლი შეიძლება დაავალოს პარტიული კომიტეტის ბიუროს წევრს ან მომზადებულ და ავტორიტეტიან კომუნისტს. წარმატებით დამკვიდრდა იმგვარი პრაქტიკა, როცა კონტროლს ავალებენ კომუნისტთა ჯგუფს (კომისიას), რომელიც უშუალოდ მოამზადა ესა თუ ის საკითხი განსახილველად. და ეს გასაგებია. მათ ხომ ყოველმხრივ შესწავლილი აქვთ ეს პრობლემა, მისი გადაწყვეტის გზები. ისინი საკითხის არსში გარკვევისათვის ზედმეტად დროს აღარ კარგავენ და პირდაპირ შესრულების კონტროლს იწყებენ.

პრაქტიკაში იმგვარი შემთხვევებიც არის, როდესაც ერთსა და იმავე ორგანიზაციაში ერთდროულად ერთი-ორი კომისია მუშაობს. ისინი სხვადასხვა კონკრეტული გადაწყვეტილების შესრულებას ადევნებენ თვალს. დასმული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ კომისია მოახსენებს პარტიულ კომიტეტს ან ბიუროს განხორციელებული მუშაობის თაობაზე და მისი მოლოდინიც ამით დამთავრდება. ამით განსხვავდება ამ კომისიის მუშაობის სპეციფიკა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობისაგან.

თუ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში შეძლებდა ზემდგომი პარტიული ორგანოს დადგენილება, აქ ოპერატიულ და ქმედით ღონისძიებებს მიმართავენ მისი უთუოდ და დროული შესრულებისათვის. საკითხს განიხილავენ პარტიული კომიტეტის, ბიუროს სხდომაზე, პარტიულ კრებაზე, სადაც შეიმუშავებენ და ამტკიცებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს, მოქმედების კონკრეტულ გეგმას. პარტიული კომიტეტი, ბიურო უშუალოდ თვითონ უწევენ კონტროლს დადგენილების შესრულებას და, თუ საჭირო გახდება, კომისიასაც ქმნის.

კომისია პარტიული კომიტეტის ბიუროს ხელმძღვანელობით მუშაობს და სათავეში უდგას კომიტეტის თუ ბიუროს მდივანი ან წევრი.

ამგვარი კომისიების შექმნა პარტიულ ორგანოს საშუალებას აძლევს დადგენილების შესრულების კონტროლში ჩააბას რაც შეძლება ფართო აქტივი. ეს კონტროლს უფრო ქმედითს ხასიათს ანიჭებს.

რაც შეეხება კონტროლის ზუსტი სისტემის ორგანიზაციას, აღრიცხვის სხვადასხვა ფორმები, როგორც კონტროლის ქმედითობის გაძლიერების საშუალება, აუცილებელია, ხოლო თუ რომელ ფორმას მიეცემა უპირატესობა, ამას განსაზღვრავს შესაბამისი საქალაქო თუ რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაცია. აღრიცხვის ტექნიკურ მხარეზე განსაკუთრებით უნდა იზრუნონ მსხვილ პარტიულ ორგანიზაციაში. აღრიცხვის სხვადასხვა ფორმა დასახულის რეალიზაციისადმი ოპერატიული კონტროლის საშუალებას იძლევა. მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციები სპეციალური საალრიცხვო ფორმების გარეშე მუშაობენ.

ზოგიერთ პარტიულ კომიტეტში, როგორც აღნიშნულია „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შესრულების შემოწმებისა და კონტროლის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ორგანიზატორული მუშაობა ხშირად იცვლება კრებებით, მრავალრიცხოვანი ანგარიშების და ინფორმაციის შეკრებით. როცა შემოწმების ორგანიზაციასა და კონტროლს ფორმალურად უდგებიან, დადგენილებები ან საერთოდ არ სრულდება, ან სრულდება ვადების დარღვევით და არასრულყოფილად.

ამიტომ საქმის მარტო ტექნიკური მხარით გატაცება სწორი არ არის. არც ის არის აუცილებელი, გამოვეკიდოთ მაინცდამაინც ხელოვნურად გართულებულ კონტროლის საალრიცხვო ფორმების წარმოებას. ქმედითი კონტროლი უპირველესად ხალხთან ცოცხალი, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, დაკისრებული მოვალეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებაა. ე. ი. მთავარია საქმე გაკეთდეს, მიღებული გადაწყვეტილება შესრულდეს.

ბოლოამდე უნდა მიეყოლა

ზამთარი განსაკუთრებულია დროა სოფლად. საჭიროა ტექნიკის საზამთროდ შენახვა, ზრუნვა მისი რემონტის და სათადარიგო ნაწილების მომარაგებისათვის, შემდგომ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება. შეამოწმეს კი კომუნისტმა მექანიზატორებმა ამ საკითხზე თავიანთივე შარშანდელი დადგენილების შესრულების მიმდინარეობა? არა. შედეგად კი ის მოხდა, რომ სასაკლაო-სამეურნეო კულტურების მოკლის აგროტექნიკური ვადებისა და ნორმების უგულებელყოფამ შარშან რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩაშალა ბილის ბაღების წამლობა. კრებების მოწვევა და აკუატუნებოდნენ — „მოსავალი-82“, დიდი დიდი, 26 დღის საქმეაო.

კომუნისტთა კრება შრომითი კოლექტივის კოლექტიური აზრი, ყველაზე მოწმეფებული, პარტიულ-ორგანიზატორული საკითხების კომპეტენტურად გადაწყვეტის ნაცადი ფორმაა. ვერც კრებების მომზადების და მოწყობის დონით დაიკვეხნიან გაერთიანების კომუნისტები. პარტბიუროს მდივანი ო. მარგველაშვილი თითქმის ყველა კრებაზე მთავარი მომხსენებელია, სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ოსაძე და პარტჯგუფორგი ა. ნადირაშვილი — ასევე კამათის მუდმივი მონაწილენი, სად არიან სხვები, გაერწურული იყო, ზოგიერთ მეურნეობაში ჯერაც არ მოეხნათ 500 ჰექტარი ფართობი. გაერთიანების მთელი სახნავი ტექნიკის მეხუთედი კი იდგა იმის გამო, რომ მექანიზატორები არ ჰყოფნით.

პარტიის ქარელის რაიკომს მეტი ყურადღება მართებს მექანიზატორ-სპეციალისტების მომზადებისა და ადგილებზე შენარჩუნებისადმი. ეს ცნობილია, რომ ქარელის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის შარშანდელი 15 კურსდამთავრებულიდან მხოლოდ სამი მოვიდა გაერთიანებაში სამუშაოდ, არადა, 30 კაციც რომ მოსულიყო, შესაფერ სამუშაოს ყველას მოუძებნიდნენ.

ახლა დღის წესრიგში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიაა და იგი სხვადასხვა ვარიაციებით მეორდება პარტიული ბიუროსა და საერთო კრებების დღის წესრიგში. ეს კარგია, მაგრამ, თუ პარტორგანიზაცია არ ფიქრობს ბოლომდე, გულდაგულ მიჰყავს მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას, თუ კომუნისტების სმამალალი ნათქვამი სხდომათა დარბაზის კედლებს არ გასცდება, უთუოდ მარცხნდელი ამბავი გამეორდება.

მომავალი საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოწყობასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ნათქვამია: პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ყველა უბანზე შეეძლიათ შეიტანონ და კიდევაც უნდა შეიტანონ გაცილებით მეტი წვლილი ყველა მაჩვენებლის მიხედვით შრომითი კოლექტივების საქმიანობის უმაღლესი შედეგების უზრუნველყოფაში. ამგვარი შედეგების უზრუნველყოფა „საქმახსოფლტექნიკის“ ქარელის რაიონული გაერთიანების პარტორგანიზაციის უმთავრესი და უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს.

ბ. ვაშაკიძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

გადამწყვეტ უბანზე

ეს მშენებლობა — თბილისის ახალი ავტოსადგურის ნაგებობა — ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი დამკვრელური უბანია. სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მზად არის შენობის კახკადი, მთელი ყურადღება გადატანილია სახტუროს მშენებლობაზე.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების წინა ხაზზე, როგორც ყოველთვის, კომუნისტები არიან.

სურათებზე: მშენებელი ოსტატი, კომუნისტი ნოდარ არობელიძე; მშენებლობის ერთ-ერთი უბანი.

ვ. გენგიურის ფოტო.

ზემოქმედების წახნაგები

პირველადი ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების ღონისძიებათა გეგმა. პირველადს ორგანიზაციებში შემუშავდა ანალოგიური ღონისძიებები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპების დაცვას, კადრების შერჩევასა და განაწილებაში დემოკრატიული პრინციპების გაფართოებას, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გაზრდას.

ყველა პირველადმა ორგანიზაციამ განიხილა რესპუბლიკური კრების შედეგები, გაიმართა საქალაქო კრება. საქალაქო კომიტეტში ყოველ ორშაბათს გრაფიკის მიხედვით ეწყობა შეხვედრა პარტიული კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების მდივნებთან, სადაც ვისმენთ ინფორმაციებს კვირის განმავლობაში ადგილებზე გაწეული მუშაობის შესახებ. ეს საშუალებას გვაძლევს საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე მოვუსმინოთ თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს და ოპერატიულად გადავწყვიტოთ წამოჭრილი საკითხები. ყოველ შაბათს იმართება აპარატის მუშაკებისა და პარტიული კომიტეტების მდივნების სემინარი მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

პარტიული ორგანიზაციების მდივნების სკოლის თემატიკა შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე. ვითვალისწინებთ სწავლებისადმი დიფერენციალურ მიდგომას. თვალთახედვის ცენტრშია ახლად არჩეულ მდივნებთან ინდივიდუალური მუშაობა. ეწყობა მათთან გასაუბრებები საქალაქო კომიტეტის განყოფილებებში. ტარდება სემინარული მეცადინეობები პარტიული მუშაობის აქტუალურ საკითხებზე. აპარატის მუშაკები ადგილებზე ჩადიან და ახლად არჩეულ მდივნებს პრაქტიკულად ეხმარებიან.

— როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა ხაზი გაუსვა პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურის სრულყოფის, პარტიული ზეგავლენის გაძლიერების საკითხებს. რა ტენდენციები იხსნება ამის უზრუნველსაყოფად?

— გასული საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდა ამ საკითხების მოგვარებას. ანგარიშგება-არჩევნების დროს შეიქმნა ოთხი პირველადი ორგანიზაცია და ხუთი პარტიული ჯგუფი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩაბოყალიდა აგრეთვე რკინიგზის ფოთის სატრანსპორტო კვანძის პარტიული კომიტეტი. 59 პირველადს ორგანიზაციაში აირჩიეს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისია. პარტიული ზეგავლენის გაძლიერებას მნიშვნელოვანწილად ეწყობა ხელს მდივნების ავტორიტეტის ამაღლება. ამგვარად პირველადი პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნების 86 პროცენტს აქვს წარმოებაში მუშაობის გამოცდილება, ახლადარჩეული მდივნების 83 პროცენტი სარეზერვო კანდიდატურებიდანაა. კადრების საქმიანი და პოლიტიკური თვისებების გაუმჯობესებისათვის მუშაობა მომავალში უფრო თანამიმდევრულ ხასიათს მიიღებს.

— ხახალხო მეურნეობის მართვაში ადგილობრივი და დარგობრივი ინტერესების შეხამება და ამ მიზნით ქალაქში მიმდინარე ექსპერიმენტი მოითხოვს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწას...

—დიახ. ქალაქში ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების შექმნამ პარტიის საქალაქო კომიტეტი გამოათავისუფლა ბევრი ფუნქციისაგან, შესაძლებლობა მისცა მეტი კონტროლი დაუწესოს ეკონომიკის მართვას, განახორციელოს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების საქმიანობის კონცენტრირება შრომის მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად. ამ საკითხებისადმი კომპლექსური მიდგომის შედეგად პარტიის საქალაქო კომიტეტი კონტროლს უწევს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასზე მეტ მაჩვენებელს.

ამიტომაც სამეურნეო ექსპერიმენტებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლის ამაღლება პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების განვითარებაში, თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერებაში.

ამავე მიზნით სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს საზოგადოებრივი საწყისება პარტიულ მუშაობაში. პარტიის საქალაქო კომიტეტში შექმნილია და ნაყოფიერად მოქმედებენ შტაბგარეშე კომისიები, სამუშაო ჯგუფები და საკოორდინაციო საბჭოები.

დაიხვეწა პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმებისა და პარტაქტივის კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა. მაგალითად, ყურადღებას იმსახურებს პარტიის საქალაქო კომიტეტის X და XI პლენუმები, რომელთაც წინ უძღოდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. პლენუმების მოხსენებები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცდილებისამებრ წინასწარ გაეცნო პარტიულ აქტივს. ამან საშუალება მოგვცა პლენარულ სხდომებზე უფრო ღრმად განგვეხილა საჭირბოროტო საკითხები, დაგვესახა ქმედითი ღონისძიებები.

**— ეს ამოცანა ადამიანებისადმი ყურადღებიანი, ფაქიზი, ადამიანური მიდგომა მოითხოვს. ეს ამ ბრიგადის ბრიგადირ ... ...

25 მარტი

ოქროეთუი

ფაქტები
მოვლენები

საკლესიო
იუწყება

შეხვედრები ბელგრადში

ბელგრადი. აქ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის შეხვედრა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან მ. რიბიჩიჩთან.

საუბრის დროს, რომელიც ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, ნ. ა. ტიხონოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის, მთელი საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით მ. რიბიჩიჩს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრს კომუნისტური სალამი გადასცა და გულწრფელად უსურვა წარმატებები იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოციალისტური შენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში პარტიის როლის განმტკიცებისათვის მუშაობაში.

საბჭოთა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ XXVI ყრილობის მიერ დამტკიცებული იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარების კურსი უცვლელი რჩება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა თანამიმდევრულად უჭერს მხარს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირთან ურთიერთობის გაფართოებას მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ურთიერთგაგების გაღრმავებისა და შეკავშირების განმტკიცების მიზნით.

ნ. ა. ტიხონოვი შეხვდა აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. სტამბოლიჩს.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილი მეგობრული ვითარებაში ჩაიარა, აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება, მტკიცდება და ახალ შინაარსს იძენს ორივე ქვეყნის ყოველმხრივი ურთიერთობა. მხარეები შეეხნენ აგრეთვე მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამასთან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების უკანასკნელ ინიციატივებს, რომელთა განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღება და დაძაბულობის შენელებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობისაკენ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების შემობრუნება, პ. სტამბოლიჩმა მოიწონა ეს ინიციატივები.

პ. სტამბოლიჩმა საუზმე გაუმართა ნ. ა. ტიხონოვს, რომელზეც მათ მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

ვიზიტი დამთავრდა

ბელგრადი, 25 მარტი. (საკადესი). დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი იუგოსლავიაში. იგი აქ იმყოფებოდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის მოწვევით.

აეროდრომზე ნ. ა. ტიხონოვის გასაცილებლად მოვიდნენ საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. პლანინეცი, საგარეო საქმეთა საკავშირო მინისტრი ლ. მოისოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

მოსკოვი. აეროდრომზე ნ. ა. ტიხონოვს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკადესი).

● პოლონეთი

სეიმის სესია

ვარშავა. აქ მუშაობა დაამთავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთმის ორი დღის სესიამ. დეპუტატებმა განიხილეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1983-1985 წლების გეგმის შესახებ კანონის პროექტი და ეკონომიისათვის ბრძოლის სამთავრობო პროგრამა. განიხილეს აგრეთვე ინფორმაცია ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების მდგომარეობასა და იუსტიციის ორგანოების საქმიანობაზე, დამტკიცეს მთელი რიგი კანონპროექტები.

● საფრანგეთი

ახალი დანიშვნები მთავრობაში

პარიზი. აქ გამოაცხადეს საფრანგეთის ახალ მთავრობაში დამატებითი დანიშვნების შესახებ. როგორც ვიუწყებოდით, თავდაპირველად, პრემიერ-მინისტრის გარდა, დაინიშნა 14 მინისტრი და ერთი სახელმწიფო მდივანი. მთავრობაში, რომელსაც ჰ. მორუა მეთაურობს, ახლა 43 კაცია, მათ შორის 14 მინისტრი, 8 მინისტრი-დელეგატი და 20 სახელმწიფო მდივანია. აქედან 36 სოციალისტია, 4 კომუნისტი, 2 მემარცხენე რადიკალთა მოძრაობის და ერთი გაერთიანებული სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი.

მემარცხენე ძალთა მთავრობის შემადგენლობაში პირველად შეიყვანეს გაერთიანებული სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი. ამ პარტიის ეროვნული მდივანი იუგენ ბუშარდო დაინიშნა გარემოს და ცხოვრების პირობების საკითხთა სახელმწიფო მდივნად.

ქენევის მოლაპარაკებაზე

ჟენევა. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციების პლენარული სხდომა.

ჟენევა. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ვენის მოლაპარაკებაზე

მხარს უჭერენ ახალ წინადადებებს

ვენა. ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკების პლენარულ სხდომაზე გამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ტ. ლერინცი.

როგორც აქ გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა უნგრეთის დელეგაციის წარმომადგენელმა, ტ. ლერინცმა განაცხადა, რომ უნგრეთი, როგორც მოლაპარაკების მონაწილე სპეციალურსტატუსიანი ქვეყანა, მთლიანად უჭერს მხარს სოციალისტური სახელმწიფოების — მოლაპარაკების პირდაპირი მონაწილეების მიერ წამოყენებულ ახალ წინადადებებს. ეს წინადადებები ითვალისწინებენ ორმხრივი მაგალითის საფუძველზე საბჭოთა და ამერიკის ჯარების განსაზღვრული კონტინგენტის გამოყვანას, ამასთან ვენის ფორუმის ყველა პირდაპირ მონაწილეთა შეიარაღებული ძალების შემდგომ გაყინვას, აგრეთვე ცენტრალურ ევროპაში ჯარებისა და შეიარაღების შემდგომ კიდევ უფრო დიდ შემცირებას, და მთლიანად შეესაბამება ევროპის ცენტრში სახიფათო კონფრონტაციის დონის შემცირების მიმწოფებულ ამოცანას. ამით დიდად არის დაინტერესებული უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაც.

საქმე ახლა ის არის, ხაზგასმით აღნიშნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, რომ მოლაპარაკების დასავლელმა მონაწილეებმა გამოიჩინონ პოლიტიკური ნებისყოფა, რეალიზმი და კონსტრუქციული პასუხი გასცენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ინიციატივას.

● გრენადა

მზადდება აგრესია

პრაღა. გრენადას შეიარაღებული აგრესიის სერიოზული საფრთხე ემუქრება. გრენადის მთავრობის ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, კუნძულზე შეჭრა შეიძლება უახლოეს რამდენიმე კვირაში ან რამდენიმე დღეშიც კი მოხდეს, განაცხადა გრენადის პრემიერ-მინისტრმა მორის ბიშოპმა.

გრენადას ახდა საშიში მომენტი დაუდგა თავის ისტორიაში, აღნიშნა მან სენტ-ჯორჯესში გამოსვლისას. სავსებით ცხადია, რომ იმპერიალისტები შეეცდებიან შეიარაღებული აგრესია მოაწყონ გრენადის რევოლუციის წინააღმდეგ. მთავრობის მეთაურმა კუნძულის მოსახლეობას მოუწოდა მოემზადონ რევოლუციის მონაპოვრების იარაღით დაცვისათვის.

მ. ბიშოპმა დაგმო აგრეთვე ახალი შეიარაღებული პროვოკაცია, რომელიც ამერიკის იმპერიალისტმა მოაწყო ნიკარაგუის წინააღმდეგ. კონტრრევოლუციური ძალების აგრესია მომზადდა და მოეწყო ჰონდურასის ტერიტორიიდან შეერთებული შტატების სამხედრო და მატერიალურ-ტექნიკური დახმარებით. ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს ჩაანაცვლოს ნიკარაგუის რევოლუცია, აღნიშნა მან.

ამ ქვეყნის ხალხმა ცხადყო, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავი აგრესორებისაგან. ეჭვი არ არის, რომ იმპერიალისტ დაქირავებულებს მოკლე დროში გავანადგურებთ, ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა.

● ნიკარაგუა

კონტრრევოლუციურ ბანდებს — საკადრისი პასუხი

● ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საძრახისი როლი ● სპობენ სოფოსელთა ბანდებს. ● იზრდება სახალხო მილიციის რაზმები

მანაგუა. სიფხიზლე, შეკავშირება და საკუთარი ძალების რწმენა — ეს თვისებები ახასიათებს დღეს მთელ ნიკარაგუელ ხალხს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს შეერთებული შტატებისა და მის მხარდაჭერით მოქმედი კონტრრევოლუციის მიერ წამოწყებულ ახალ დანაშაულებრივ ავანტიურას.

ქვეყნის ჩრდილოეთი რაიონებიდან მიღებული ცნობები, რა თქმა უნდა, თითოეულ ნიკარაგუელს აღელვებს. იქ, ნუევა-სეგოვიის, ხინოტეგასა და მატაგალპის დეპარტამენტებში საინდინისტური სახალხო არმიის მებრძოლები ეწევიან ჰონდურასიდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოგზავნილ კონტრრევოლუციონერთა დიდი ქვეგანაყოფების დევნისა და ლიკვიდაციის ოპერაციებს, ეს შეიარაღებული ავანტიურა საგულდაგულოდ შემუშავდა და განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით. მან შეჭრის მთავარ ძალად გამოიყენა დიქტატორ სომოსას ყოფილი არამზადები, მოამარაგა ისინი უახლესი ამერიკული და ისრაული იარაღით.

როგორც ეროვნული თავდაცვის სამინისტრო იუწყება, სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლებმა შეიპყრეს სომოსელთა მორიგი დაჯგუფება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოიჭრა ჰონდურასიდან სანფერნანდოსა და ხალაპის სასაზღვრო საგუშაგოს შუა მდებარე უბანზე. ნიკარაგუელმა მესაზღვრეებმა ხელთ იგდეს გრანატსატყორცნები, ავტომატური შაშხანები, ასაფთქმელი ნივთიერება და სხვა სამხედრო მოწყობილობა. ახლა ნიკარაგუის ჯარები ბანდის ნაშთების ლიკვიდაციის ოპერაციას ახორციელებენ.

უკანასკნელი ცნობები მოწმობს, რომ კონტრრევოლუციონერები იყენებენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებულ ქიმიურ იარაღს. ბანდებთან შეიარაღებული შეტაკებების დროს სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს სომოსელთა კუთვნილი ამერიკული ქიმიური ხელყუმბარები, რომლებიც დატენილი იყო ნერვულ დამადამბლელი გაზით, და აირწინაღები. მაგრამ ვერც სიკვდილის იარაღი, ვერც მხეცური ბოროტება ვერ უშველის მათ უკუღმა დაატრიალონ ნიკარაგუაში რევოლუციურ გარდაქმნათა პროცესი.

ნიკარაგუელი ხალხი ფხიზლადაა. იგი აღსდგა რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. პირველ რიგებშია ძუშათა კლასი. მშრომელთა სანდინისტურმა პროფცეკრტრამ მოუწოდა ხალხს შეავიდეს სახალხო მოლაშქრეთა რიგებში, გააორკეცოს რევოლუციური სიფხიზლე. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ხრიკების წინაშე, აღნიშნულია მის განცხადებაში, საჯაროდ ვამბობთ, რომ მზად ვართ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, დავიცვათ სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ნიკარაგუის დედაქალაქის ორი ათასზე მეტი მუშა, ხელოსანი, სტუდენტი, მასწავლებელი უკვე ჩაეწერა ამ დღეებში სანდინისტური სახალხო მილიციის რაზმებში. მოხალისენი მზად არიან იარაღით ხელში იბრძოლონ სომოსელთა ბანდების შესამუსრავად, რომლებიც ნიკარაგუაში ამერიკის ჯაშუშურმა უწყებამ შემოგზავნა.

დისციპლინასა და ორგანიზებულობას ავლენენ აგრეთვე რევოლუციის დაცვის სანდინისტური კომიტეტები, რომლებშიც 300 ათასზე მეტი კაცია გაერთიანებული. ისინი, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე კომიტეტების ხელმძღვანელმა ლეტისია ერერამ, იცავენ ფაბრიკა-ქარხნებს, ღამით პატრულობენ ქალაქის ქუჩებს.

ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტისა და რევოლუციური მთავრობის სახელზე რადიოსადგურში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მოდის ათასობით წერილი, რომელთა ავტორები მხარს უჭერენ მთავრობას და გამოთქვამენ რწმენას, რომ გაიმარჯვებენ იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებზე. ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ გრძნობებს დღეს ყველა ნიკარაგუელი იზიარებს.

ქვეყანაში ცხოვრება თავისი კალაპოტით მიედინება. მანაგუაში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ნორმალურად მუშაობენ სარეწველო საწარმოები, დაწესებულებანი, სავაჭრო ქსელი.

● კარიკატურისტის კომენტარი



ვაშინგტონის მზაკვრული ხელი.

მხატვარ გივი ლომიძის ეს ნახატი მიმდინარე წლის იანვარში მანაგუის (ნიკარაგუა) ერთ-ერთ უდიდეს გაზეთ „ნუევო დიარიოში“ დაიბეჭდა.

საერთაშორისო შენიშვნები

ასი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ესპანეთის მმართველობის სადავეები ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელში გადავიდა. ძნელია იმის თქმა, თუ რატომ დაადგინეს ესპანეთის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და ჟურნალისტებმა სწორედ ეს ვადა იმისათვის, რომ შეეჯამებინათ კაბინეტის საქმიანობის პირველი შედეგები, მაშინ, როცა მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ თითქმის ოთხი წელია. ასი დღე სოციალისტური მუშათა პარტიისთვის, რა თქმა უნდა, ცოტაა. ამ ხნის განმავლობაში მთავრობამ მხოლოდ ის მოასწრო, რომ გასცნობოდა წინანდელი მთავრობებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ საქმის ვითარებას, განეხორციელებინა ზოგიერთი მეტნაკლებად გადაუდებელი ღონისძიება. მიუხედავად ამისა, უკვე ცხადია, სოციალისტური პარტიის პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები.

მაინც რა გააკეთა ას დღეში ესპანეთის მთავრობამ ფილიპე გონსალესის მეთაურობით? უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიეპყრო ეკონომიკის საკითხებს. ამ დარგში მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. უმუშევრობა თვითმოქმედი მოსახლეობის 16 პროცენტზე მეტს შეეხო, ინფლაციის ტემპი 15 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ეკონომიკის ტემპის ზრდა ნულს უახლოვდებოდა.

ახალი ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი მკაცრი იყო: ესპანური პესეტის დევალვაცია, ნავთობპროდუქტების ფასების მომატება და მთელი რიგი ტარიფების გაზრდა. ეს ღონისძიებანი გარდაუვალი იყო. ისინი დიდი ხნით ადრე უნდა განეხორციელებინათ, მაგრამ წინანდელ მთავრობებს ვერ გადაეწყვიტათ. ახლა პესეტის კურსი განმტკიცდა, დაიწყო ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდა, ბევრად შენელდა უმუშევრობის ზრდის ტემპი. მოწყობილი გამოკითხვის მონაცემებით, ესპანელთა უმრავლესობა მხარს უჭერს ამ კურსს, იმის მიუხედავად, რომ მათ გარკვეული მსხვერპლის გაღება მოუხდათ. ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალისტთა მომდევნო ნაბიჯმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია: თებერვლის ბოლოს ექსპრომტირებულ იქნა ქვეყნის უდიდესი კერძო, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი „რუმასა“ მისი პატრონების ავანტიურისტული საკრედიტო პოლიტიკის შედეგად. „რუმასის“ ვალმა ასტრონომიულ ციფრს მიაღწია და მას სრული კრახი ემუქრებოდა. საფრთხე შეექმნა ჯგუფში შემავალ 400-მდე საწარმოსა და ბანკის არსებობას, უმუშევარი შეიძლება დარჩენილიყო 60 ათასი კაცი. „რუმასის“ კრახს შეიძლებოდა ესპანეთის ეკონომიკისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყოლოდა. ამიტომ მთავრობამ, რომელმაც იკისრა ამ უდიდესი გაერთიანების მართვა, დაიწყო შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა. მართალია, „რუმასის“ ექსპროპრიაციაა არ ნიშნავს, რომ სოციალისტური მუშათა პარტია ნაციონალიზაციის გზას დაადგა, რომელიც, არჩევნებსწინა განცხადებების თანახმად, მის გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ ეს ქვეყანაში სენსაციურ ფაქტად აღიქვეს.

ესპანეთი:

მმართველობის ახალი დღე

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ესპანეთის ახალი საგარეოპოლიტიკური კურსი. ამ სფეროში სოციალისტური მუშათა პარტიის საარჩევნო პროგრამა შეიცავდა დებულებას — ნატოსთან დამოკიდებულების და ესპანეთ-ამერიკის შეგობრობის, თავდაცვისა და თანამშრომლობის იმ ხელშეკრულების გადასინჯვის თაობაზე, რომელიც, კერძოდ, არეგულირებს ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების განლაგების საკითხს. ასეთი გადასინჯვა წინანდელი კაბინეტის კურსის ძირეული შეცვლა იქნებოდა.

ასეთი მკვეთრი შემობრუნება, ცხადია, ერთბაშად ძნელია, და ამიტომ სოციალისტური მუშათა პარტიის ნაბიჯები საგარეოპოლიტიკურ სფეროში მეტად ფრთხილი იყო. მას შემდეგ, რაც გაიმეორეს თავიანთი დაპირება, რომ მოაწყობდნენ რეფერენდუმს ნატოში ესპანეთის მონაწილეობის შესახებ და შეჩერდა მაგრამ ეს ქვეყანაში სენსაციურ ფაქტად აღიქვეს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ესპანეთის ახალი საგარეოპოლიტიკური კურსი. ამ სფეროში სოციალისტური მუშათა პარტიის საარჩევნო პროგრამა შეიცავდა დებულებას — ნატოსთან დამოკიდებულების და ესპანეთ-ამერიკის შეგობრობის, თავდაცვისა და თანამშრომლობის იმ ხელშეკრულების გადასინჯვის თაობაზე, რომელიც, კერძოდ, არეგულირებს ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების განლაგების საკითხს. ასეთი გადასინჯვა წინანდელი კაბინეტის კურსის ძირეული შეცვლა იქნებოდა.

ასეთი მკვეთრი შემობრუნება, ცხადია, ერთბაშად ძნელია, და ამიტომ სოციალისტური მუშათა პარტიის ნაბიჯები საგარეოპოლიტიკურ სფეროში მეტად ფრთხილი იყო. მას შემდეგ, რაც გაიმეორეს თავიანთი დაპირება, რომ მოაწყობდნენ რეფერენდუმს ნატოში ესპანეთის მონაწილეობის შესახებ და შეჩერდა ქვეყნის შესვლა ნატოს სამხედრო სტრუქტურაში (რომელიც, არსებითად, არც დაწყებულა), მაღრიდი ხმას აღარ იღებს ამ საფეროში შემდგომი მოქმედების შესახებ. მთავრობამ ხელი მოაწერა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი შეთანხმების დამატებითს ოქმს, რომელშიც დაზუსტებულია ზოგიერთი სადავო საკითხი და ამით გზა გაუხსნა ამ დოკუმენტის რატიფიკაციას ესპანეთის კორტესებში.

ესპანელი ხალხი გულისწყრომით გმობს ქვეყნის მონაწილეობას ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში, მოითხოვს ნეიტრალიტეტსა და ყველა ქვეყანასთან მეგობრობის პოლიტიკის განხორციელებას. საკმარისია ითქვას, რომ ამას წინათ გაზეთ „დიარიო-16“-ში გამოქვეყნებული მოსახლეობის გამოკითხვის მონაცემებით, ასეთ პოლიტიკას მხარს უჭერს ესპანეთის მოქალაქეთა 61 პროცენტი. აი, რატომ ძლიერდება ომის, ნატოს საწინააღმდეგო მოძრაობა. სულ უფრო ხშირად იმართება მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მანიფესტაციები. ამ დღეებში ათიათასობით ესპანელი გამოვიდა სარაგოსის ქუჩებში, რომლებსაც მოჰქონდათ ლოზუნგი: „არ გვინდა ამერიკული ბაზები!“. ესპანეთის ნატოში მონაწილეობის შესახებ რეფერენდუმის რაც შეიძლება მალე გამართვა მოითხოვა ესპანეთის კომპარტიამ.

ამასთან დაკავშირებით ესპანეთში აღნიშნავენ, რომ ვაშინგტონი ასე იოლად ვერ შეურიგდება მის ნატოდან გამოსვლას, მით უმეტეს, რომ ესპანეთზე ზემოქმედების ბევრი საშუალება აქვს.

ამ საშუალებებს რომ ეხება, მაღრიდის სოლიდური ჟურნალი „კამბიო-16“ წერს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია „ხელ-ფეხი შეუბორკოს სოციალისტთა მთავრობას, როცა მას უახლოეს ორ წელიწადში მოუხდება მოლაპარაკების გამართვა ვალის დაფარვის ვადის გადადების შესახებ“. მიუხედავად ამისა, მეორე მხრივ ვაშინგტონი იძულებული იქნება გაითვალისწინოს მილიონობით რიგით ესპანელთა განწყობილება, რომლებსაც არ სურთ პაიკების როლი შეასრულონ ამერიკის სტრატეგიულ ჩანაფიქრში, ანგარიში გაუწიონ ესპანელი ხალხის მისწრაფებს მშვიდობისა და ნეიტრალიტეტისადმი.

საკადესის მასალების მიხედვით.

იღვაწა საქვეყნო საქმისათვის

პროფესორ

გ. გედევანიშვილის

დაბადების

100 წლისთავის

გამო

ისეთი ადამიანები, როგორიც პროფესორი გიორგი გედევანიშვილი იყო, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ჩუმად, უხმაუროდ აკეთებენ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს და შემდგომ მათი კვალი დიდხანს რჩება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საშუალო განათლება გიორგი გედევანიშვილმა თბილისში მიიღო, ხოლო უმაღლესი ტექნიკური — პეტერბურგში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ახალგაზრდა მცოდნე სპეციალისტი გატაცებით მონაწილეობს მცირე მექანიკური სახელოსნოების გაერთიანებაში, მათი რეკონსტრუქციის გზაზე მანქანათმშენებელი ქარხნების შექმნასა და საქართველოს ლითონტრესტის დაარსებაში, სადაც იგი ტრესტის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე მიიწვიეს. მისი ხელმძღვანელობით ვითარდებოდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ლითონდამშუშავებელი საწარმოები.

უაღრესად დიდია გ. გედევანიშვილის როლი ქართული ტექნიკური და სამეცნიერო ინტელიგენციის აღზრდასა და ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავებაში. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა გამოირჩევა მრავალმხრივობით, იგი გახლდათ ფართო ერუდიციის მეცნიერი-მკვლევარი, რომელიც თანაბარი სიღრმით ერკვეოდა საინჟინრო დარგის სხვადასხვა სპეციალობაში. იყო დრო, როდესაც იგი ლექციებს 7-8 დისციპლინაში კითხულობდა და ამავე დროს ტექნიკური სახელმძღვანელოების შექმნაზე მუშაობდა.

1923 წელს გ. გედევანიშვილი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად ჩამოყალიბებულ პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე ლექციების წასაკითხავად. მნიშვნელოვანია გ. გედევანიშვილის წვლილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნაში, მისი სასწავლო გეგმებისა და ქართულ ენაზე სწავლების მეთოდების დადგენაში. ახლად დაარსებულ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეცნიერს ნიშნავენ ელექტრომექანიკური ფაკულტეტის დეკანად, ხოლო შემდეგ — დირექტორის მოადგილედ სასწავლო ნაწილში. ამავე დროს ირჩევენ ლითონთა ტექნოლოგიის კათედრის გამგედ, რომელსაც თითქმის ათი წლის განმავლობაში განაგებდა.

საქართველოს მანქანათმშენებლობის დარგის ზრდასა და განვითარებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სრულყოფას, დიდად შეუწყო ხელი პროფესორ გ. გედევანიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1935 წელს ახალი სპეციალობის — მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის შემოღებამ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. რამდენიმე წელს მეცნიერი მანქანათმშენებლობის კათედრას ხელმძღვანელობდა, 17 წლის მანძილზე განაგებდა ლითონთა ტექნოლოგიის კათედრას თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად გ. გედევანიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შემუშავდა არაერთი მანქანათსაშენებელი ქარხნის რეკონსტრუქციისა და ახალი საწარმოს აგების პროექტი.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ამაგდარ პროფესორს 1943 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდება მიენიჭა, შემდეგ აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ერთხანს იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, მონაწილეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში.

ფასდაუდებელია მეცნიერის დამსახურება ქართულ ენაზე ტექნიკური სახელმძღვანელოების შექმნაში. 1925 წელს გამოდის გ. გედევანიშვილის „ლითონების მექანიკური ტექნოლოგია“, ხოლო 1925-26 წლებში იგი აქტიურად მონაწილეობს ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაში, სამეცნიერო ტერმინების დამდგენი კომისიის მუშაობაში.

შემდგომ წლებში გამოიცა გ. გედევანიშვილის წიგნები „ლითონების წნევით დამუშავება“, „მანქანებისა და მისი ნაწილების ანალიზი“, „შედუღება“ და სხვა. ყველა მისი სამეცნიერო ნაშრომები დაკავშირებულია პრაქტიკის მოთხოვნებთან, მანქანათმშენებლობის მეტალურგიისა და ტექნიკის სხვა დარგის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტასთან.

გამოჩენილმა მეცნიერმა და პედაგოგმა, უაღრესად კეთილშობილმა და სპეტაკმა ადამიანმა მთელი ენერგია მოახმარა საბჭოთა საქართველოში მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის განვითარებისათვის საჭირო ახალგაზრდა ტექნიკური და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ცხოვრების საგზური მისცა მრავალ ახალგაზრდა მანქანათმშენებელსა და მეტალურგს, რომლებიც წარმატებით მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, სამეცნიერო-კვლევითსა და სასწავლო ინსტიტუტებში. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში მანქანათმშენებელთა და ლითონების წნევით დამუშავებელთა სამეცნიერო სკოლების შექმნა.

ნაყოფიერი იყო გ. გედევანიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ის გახლდათ საქართველოს სსრ ტექნიკური საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზატორი და თავმჯდომარე, სამჯერ აირჩიეს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ბევრ საქმეს უთაოსნა როგორც მეტალურგთა და მანქანათმშენებელთა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პრეზიდიუმის წევრმა და საქართველოს პოლიტექნიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილმა წევრმა.

ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ ჯეროვანი პატივი მიაგეს ღვაწლმოსილ სწავლულსა და საზოგადო მოღვაწეს, როცა იგი ლენინის ორდენითა და medlებით დააჯილდოვეს.

გ. გედევანიშვილის მრავალრიცხოვანი ნამოწყფარნი დღეს წარმატებით განაგრძობენ და ავითარებენ სახელოვანი მასწავლებლის მიერ დაწყებულ საქმეს, იმ ტრადიციებს, რომლებიც მის დაუვიწყარ სახელს უკავშირდება.

თ. ლოლაძე,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ფ. თავაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

პასუხი აგებინეს მთელი სიმკაცრით

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და პარტიის კასპის რაიკომის ბიუროს გაერთიანებული სხდომა

გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის ბიუროს გაერთიანებული სხდომა. იგი მიეძღვნა შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საქმიანობის კომპლექსური შემოწმების შედეგების განხილვას.

აღინიშნა, რომ ბოლო დროს შინაგან საქმეთა განყოფილების როლი სამართალდარღვევებთან ბრძოლაში შესუსტდა, ცუდად წარმოებდა მუშაობა სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ოპერატიულ ვითარებაზე, გამოიწვია დანაშაულობათა გახსნის დონის შემცირება.

განყოფილება უაღრესად არადამაკმაყოფილებლად ებრძოდა სოციალისტური საკუთრების დატაცებებს, სპეკულაციას, სხვა ბოროტმოქმედებას ეკონომიკის სფეროში. მხოლოდ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი კასპის საკონსერვო ქარხანაში სახელმწიფო სახსრების დიდი დატ

მწერალი ბუნების ქომაგიც არის!

25 მარტს საქართველოს მონადირეთა კავშირმა თავი მოუყარა აქტივს.

ვინ არ იცის, მთასა და ბარში მოქმედი კაცის გამოჩენა მხოლოდ ფიქრთგასართველი მომენტი რომ არ არის... მონადირეთა ამ ორგანიზაციამ არა მარტო ნადირის მიზანში ამოღება იცის, იგი ამ ტყეების და ტყიურთა კეთილი დამცველიც გახლავთ... და მით უფრო კავკასიის ხეობებში მთიელთა ახალი დასახლების უახლოესი მონაწილეც... ამის შესახებ ჩემი გამოცდილი მომთაბარეníც იტყვიან უთუოდ.

მონადირეთა ეპოსის და ლირიკის პირველი მესიტყვენი, ჩვენი ეროვნული თვისებების მატარებელი გმირები არიან ამირან დარეჯანის ძე და ძმანი მისნი, ბეთქილი და ჯარჯი, ჯიხვებზე მონადირე და ავთანდილიც, ერთხელ რომ გადანადირა მთები მაღალი, ტყიანი. ჩვენი ბუნების სიყვარული, მოვლა და პატრონობა, ჩვენი მთაში დასახლება, ჩვენი დროის ყველა პატრიოტის უპირველესი გულისთქმაა... რა თქმა უნდა, სიყვარულიც მხოლოდ ურთიერთგაგებით იწყება და გვირგვინდება.

მეც მინდა ჩემი ხმა და იმედი, ისე როგორც ჩემი ორლულა თოფის შორეული გასროლა, მისალმებად მიიღოს ამ შეკრებამ. მონადირეთა შორის მწერალიც ხომ უნდა იყოს!.. დღე და ღამეს იგიც იქ უნდა ათევდეს, სადაც ჩვენი ბუნების და ჩვენი ხალხის სასიცოცხლო და სამოსახლო საკითხები იმაღლებს ხმას. დიახ, ზედმეტი ქადილი თუ არა, მეც, ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ.

მ ო ნ ა დ ი რ ე

მონადირევ, მეგზურო, მოტრფიალევ ბუნების —
გამიკვალე ბილიკი და ცისკარი გამიღე!

იქნებ წუთიც როგორმე ამაცილო ცთუნების:
ნუკრის ერთი ერთგული კაცი მეც ვარ. გამიგე!

წყაროზეა, დაინდოს შენმა თოფის სიფიცხემ.
არ ესროლო, გულმკერდი ააფარა წიფლის ხემ!

წყაროც დარჩეს და ნუკრიც თოვლით დაბარდნილები.
შენ ხომ შენი სიავით თავს არასდროს არ იქებ!

„რაც თვალს აპყავ — ის არის ჩვენი ნანადირევი!“ —
თქვი და შენი ამოსვლის იგავს ამით გაიგებ...

ღამემ ვაჟას წყაროზე წიფლნარს გადაუარა.
ვინ დახვდება განთიადს — მონადირე თუ არა!

კარლო კალაძე.

გაეცნენ ქართულ თეატრს

ოთხი დღის განმავლობაში ქალაქ შვერინის დრამატული თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ეცნობოდა თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობთა ხელოვნებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ნახეს ქართველი კოლეგების რამდენიმე სპექტაკლი. გაიმართა ნაყოფიერი დიალოგი თანამედროვე სასცენო ხელოვნების განვითარების პრობლემების შესახებ.

— ბევრი რამ გაგვიგია რუსთაველელთა შესანიშნავი ხელოვნების შესახებ, — უთხრა საქნიფორმის კორესპონდენტს შვერინის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ქრისტოფ შროტმა, — საკუთარი თვალით დავრწმუნდით, რომ ეს არის მსახიობთა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კოლექტივი. ეს არის კოლექტივი, რომელიც ესწრაფვის სასცენო ექსპერიმენტს, გაბედულ იმპროვიზაციას მსახიობთა თამაშში, ეს თანამოაზრეთა ანსამბლია, რომელსაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო გაგცნობოდით პიესის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ ქართულ სასცენო ვერსიას: ეს სპექტაკლი ამას წინათ ჩვენი თეატრის სცენაზეც დადგეთ. რუსთაველის სახელობის თეატრის ნამუშევარი აღინიშნა ახალი გამომსახველობითი ხერხების ძიებით, ნაწარმოების საინტერესო რეჟისორული წაკითხვით.

— ასეთი კონტაქტები, დელეგაციათა, დრამატურგიის გაცვლა, აღინიშნა შემდეგ შროტმა, — გვამდიდრებს, ემსახურება ჩვენი ხალხების კულტურის მოღვაწეთა მეგობრობის განმტკიცებას. ძალიან გვინდა რუსთაველელთა შესანიშნავ ხელოვნებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების მოყვარულნიც გაეცნონ.

რუსთაველზე, სურათების გალერეის ფასადზე ორი ნაცნობი გვარი გამოჩნდა: ანა (ნანი) შალიკაშვილი, ნატალია ფალავანდიშვილი! გამოფენამ დიდძალი საზოგადოებრიობა მიიზიდა.

ნაცნობი-მეთქი, მაგრამ თურმე არც ისე კარგად გვცნობია ჩვენი ჩინებული მხატვარი ქალები, უფრო სწორად კი მათი შემოქმედება და აი, ახლაღა ვიხილეთ სრულად და ვიგრძენით, თუ რა შეუქმნიათ მათ წლების მანძილზე, რა განუცდიათ და როგორ დაოსტატებულან!

დღემდე, ცხადია, არაერთი საგაზაფხულო თუ საშემოდგომო, რესპუბლიკური თუ საკავშირო გამოფენა დაუმშვენებია ნატო ფალავანდიშვილისა და ნანი შალიკაშვილის ნახატებს, ხელწერაც ადვილად გამოიცნობა მათი, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც შემოქმედი დგას თქვენ წინაშე თავისი რჩეულით და თქვენც არჩევანში ხართ; რაა უმჯობესი, მაგალითად, გალერეის „მარჯვენა ფრთაზე...“ რითაც, ვთქვათ, ნატო ფალავანდიშვილმა დაიწყო თავისი სამხატვრო გზა, გზა პეიზაჟისტისა და ჟანრული მხატვრისა, თუ ის, რითაც ასე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა იგი დღეს, როგორც პორტრეტისტი! ახლა „მარცხენა ფრთაც“ მოვათვალიეროთ და დავრწმუნდებით, რომ ნანი შალიკაშვილის სახით ჩვენ წინაშე საინტერესო, ორიგინალური, თითქოსდა ცერად მჭვრეტელი, ოსტატურად ფესვებ-ფესვ-ფესვ-ფესვ